შიშველი ენთუზიაზმის ამარა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 13 ივლისი. 50 480 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მინსკი) 0:1.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, მიქაბერიძე, ბარათაშვილი, გოგრიჭიანი, სულაქველიძე, შენგელია, ცაავა, მესხი.

მინსკი: ჟეკიუ, სოკოლი, კურნენინი, იანუშევსკი, ტრუხანი, ზიგმანტოვიჩი, როდნიონოკი, შიშკინი, ალეინიკოვი, გურინოვიჩი, კონდრატიევი.

48–ე წთ. გურინოვიჩი.

46–ე წთ. კონდრატიევის ნაცვლად – შალიმო, 52–ე წთ. სულაქველიძის ნაცვლად – არზიანი, 67–ე წთ. როდნიონოკის ნაცვლად – რუმბუტისი, ჭედიას ნაცვლად – მახარაძე.

მსაჯი: ალექსანდრ მუშკოვეცი (მოსკოვი).

გააფრთხილეს: შალიმო.

კარში დარტყმა – 10:14 (10:2), ზუსტი დარტყმა – 3:5 (3:1), საჯარიმო მოედნიდან 2:5 (2:1).

კუთხური – 9:2 (5:0).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 6 (4), მინსკელები – 15 (8).

ეტყობა, თავს ზემოთ მართლა არ არის ძალა, ეტყობა, თბილისის “დინამოს” გუნდს – როგორც ფეხბურთელებს, ისე ხელმძღვანელობას – ამაზე მეტი არ შეუძლია და, ამ აზრს, რომელსაც წლევანდელი სეზონის დასაწყისიდანვე თან ვიცილებთ და თან ვერც მოგვიცილებია, ბოლოს და ბოლოს უნდა შევურიგდეთ.

ცხადია, ამას მხოლოდ ზედიზედ მეხუთე წაგებული მატჩი არ გვათქმევინებს – მოგებულ შეხვედრებშიც კი იმდენი ხარვეზი დაჰყვებოდა გუნდის თამაშს, იმდენად არადამაჯერებელი იყო ის წყვილი ქულები, რომ მაყურებელს ერთხელაც არ დაუტოვებია სტადიონი ბოლომდე კმაყოფილს.

ძნელად თუ ვინმე დასწამებს გუნდს, არ მოინდომაო. ყოველ შემთხვევაში, ბოლო მატჩებში მაინც. გნებავთ, მოსკოვის “დინამოსთან”, გნებავთ დონეცკის “შახტიორთან” და თუნდაც გუშინდელ შეხვედრაში. საკმარისია გადახედოთ მატჩის ტექნიკურ მონაცემებს: პირველ ტაიმში თბილისელებს თითქმის ყველა პუნქტში უპირატესობა ჰქონდათ. მაგრამ რა მტკიცება უნდა იმას, რომ მარტო ენთუზიაზმით შორს ვერ წახვალ. მარტო მონდომებით, ფიზიკური ენერგიის თუნდაც უზომო ხარჯვით ძნელად თუ დაამარცხებ გუნდს, რომელიც ტაქტიკური თვალსაზრისით ბევრად უკეთ გამოიყურება. მით უფრო ძნელია გუნდის დამარცხება, როცა იგი არც ფიზიკური მომზადებით ჩამოგრჩება და, სხვათა შორის, არც მონდომება აქვს შენზე ნაკლები.

ეს ყველაფერი ერთბაშად გამომჟღავნდა 48–ე წუთზე. გურინოვიჩისთვის გამიზნული გადაცემა ვერ ჩაჭრა მიქაბერიძემ და მინსკელმა ფორვარდმაც მშვენივრად გამოიყენა გოლის გატანის შესაძლებლობა.

გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძლები, ერთი შეხედვით, დაიბნენ, მაგრამ ეს უფრო შეგუება იყო მარცხთან, აღიარება იყო მეტოქის სიძლიერისა და ამაში ვერც გაამტყუნებ გუნდს. თუმცა ერთი კი მაინც უნდა ითქვას: საფეხბურთო მატჩში იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ისე, რომ მარცხდება ძლიერი მხარე. აი, ამ, შესაძლოა, მცირე, მაგრამ მაინც რაღაც შანსისთვის აუცილებლად უნდა იბრძოლოს საკუთარი

თავის (მაყურებელზე რომ აღარაფერი ვთქვათ) პატივისმცემელმა გუნდმა. თბილისის “დინამომ” საამისო ძალა ვერ გამონახა და ეს არასაფეხბურთო საყვედურიც ალბათ, ყოველგვარი შესწორების გარეშე უნდა მიიღონ ფეხბურთელებმა. მეორე ტაიმში იყო წუთები, როცა თბილისელთა საჯარიმო მოედანი მინსკელთა კომბინაციების არენად იქცა. კომბინაციებისა, რომელსაც გუნდი სერიოზულ მატჩში არც მიმართავს. 50–ე და მე–60 წუთზე შალიმოს და სოკოლს სულ იოლად შეეძლოთ კიდევ ორი გოლის გატანა. საბოლოოდ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: თბილისის “დინამო” კიდევ ერთხელ დამარცხდა, ახლა უკვე საკუთარ მინდორზე და უიმედოდ ჩამოშორდა ლიდერთა ჯგუფს. თუმცა ამაზე ალბათ აღარ ფიქრობენ არც სპეციალისტები და არც გულშემატკივრები. საშუალო გუნდის ყოლას უკვე შევეჩვიეთ, მაგრამ რა იქნება ხვალ, ზეგ? თუ დაღმასვლა ასეთი ტემპით გაგრძელდა (ყველა საამისო პირობა კი ერთობ თვალსაჩინოა), მიხედ–მოხედვასაც ვერ მოვასწრებთ, ისე აღმოვჩნდებით აუტსაიდერთა შორის.

დღეს უკვე აშკარაა, რომ უკან დარჩა პერიოდი, როცა საქმეს პროფილაქტიკა უშველიდა. სხვათა შორის, ეს საფიქრალი არაორაზროვნად გამოხატა მაყურებელმაც – ძნელი დასაჯერებელია, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ მინდორს ვერ მისწვდა ტრიბუნებიდან წამოსული უკმაყოფილების სუსხი.

ირაკლი ბერიაშვილი.

მხოლოდ ნიშნები

თბილისისა და მინსკის დინამოელთა შეხვედრის შემდეგ ფეხბურთის სპეციალისტთა და მოყვარულთა კომისიამ ათბალიანი სისტემით შეაფასა ჩვენი გუნდის, მისი ცალკეული წევრების თამაში. ამ ნიშნების მიხედვით გამოყვანილი საშუალო მაჩვენებლები ასეთია:

გაბელია – 6,6, კეტაშვილი – 6,6, ჩივაძე – 6,7, ჭედია – 2,5, მიქაბერიძე – 3,5, ბარათაშვილი – 2,1, გოგრიჭიანი – 3,7, სულაქველიძე – 6,1, შენგელია – 5,7, ცაავა – 4,8, მესხი – 4,0, არზიანი – 4,4, მახარაძე – 3,0.

თბილისის “დინამომ” გუშინდელ მატჩში მიიღო შეფასება 3,0, რაც ხუთბალიანი სისტემით ორიანზე დაბალი ნიშანია.

“ლელო”, 14 ივლისი, 1985 წ.